ლელა

№ 23 (10 436)
9 თებერვალი, შაბათი, 1991 წ.
ფასი 10 კაპ.

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუდაური-93 — მსოფლიო ჟურნალისტთა „პრეს-ცენტრი“

ახლახან შვეიცარიაში ჩატარდა მოთხილამურე ჟურნალისტთა 37-ე მსოფლიო ჩემპიონატი. ამ ახპარეზობაზე ჩასულ საქართველოს დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ კონცერნ „საქკურორტის“ პრეზიდენტი ზეზვა ღუღუნიშვილი, ერთობლივი საწარმო „გუდაურის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ვახტანგ მიქელაძე, საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენელი კობა წაქაძე და ამ სტრიქონების ავტორი, საში ამოცანა ჰქონდა დასახული: საქართველოს ჟურნალისტებს პირველად მიეღოთ მონაწილეობა ჩემპიონატში; 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატად წარმოგვედგინა გუდაური და გვებრძოლა ჩვენი კანდიდატურის გამარჯვებისთვის; შეძლებისდაგვარად მიგვეწოდებინა ინფორმაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობისთვის საქართველოში დამოუკიდებელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისა და საქმიანობის შესახებ.

დელეგაციამ სამივე ამოცანა წარმატებით შეასრულა.

● კრანს-მონტანა. ჩემპიონატის მონაწილე ჟურნალისტები.

იხ. მე.2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცხადება

დარგს-თავისი პროფკავშირი

მაია მნათობიშვილი — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი, სსრკ სამგზის ჩემპიონი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის მასწავლებელი: „ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნით მრავალ სასიკეთო საქმეს დაადგება საშველი: აშენდება სპორტული დარბაზები და მოედნები, მეტი ყურადღება მიექცევა ბავშვებისა და ახალგაზრდობის გაჯანმრთელების საქმეს. ეჭვს არ იწვევს, რომ მისი დაარსება ხელს შეუწყობს მაღალი კლასის სპორტსმენების აღზრდასა და მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვას. ამასთან ერთად, შედარებით გაიოლდება საქართველოს სპორტსმენთა საქმიანი კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

—მოვუწოდებ ყველა სპორტსმენს, მხარი აუბას საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის თაოსნობას“.

ლევან ჩხეიძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი: „ჩვენი სპეციფიკური დარგი ობიექტურად აყენებს ასეთი პროფკავშირის შექმნის აუცილებლობას, მით უმეტეს, თუ ამ დარგს მომავალ პერსპექტიულობასაც ვავითვალისწინებთ (მხედველობაში მაქვს სპორტის პროფესიონალიზაცია). მხარს ვუჭერთ თქვენი გაზეთის წინადადებას და მზად ვართ ვითანამშრომლოთ იმ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან, ვინც მის აღსრულებას შეეცდება“.

ავთანდილ ჭკუასელი — საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე, დოცენტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი: „ფეხბურთის კათედრის თანამშრომლები მიესალმებიან და თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობენ ახალი დარგობრივი პროფკავშირის შექმნას, რადგანაც იგი მომავალში ამ დარგის მუშაკთა სოციალურ პრობლემათა გადაჭრისა და უფლებათა დაცვის საიმედო გარანტი იქნება“.

დავით ფრუიძე — ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე: „ქუთაისში დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის შესახებ. ქალაქის სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად, ერთსულოვნად მხარს გიჭერთ და მზად ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ საკითხის დროულად გადაჭრაში“.

მზია ჯუღელი — ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტული სკოლის დირექტორი: „ჩვენი კოლექტივი ერთსულოვნად უჭერს მხარს ჩვენი დარგის პროფკავშირის შექმნას. ადრე დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ტრავმირებულ სპორტსმენთა სამკურნალოდ საგზურებით გამგზავრება, ჩვენივე პროფკავშირი ყველა სიკეთესთან ერთად, ამ პრობლემასაც გადაჭრის“.

შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი

ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შესაქმნელად ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სპორტის სპეციალისტები, ცნობილი სპორტსმენები და სპორტული დაწესებულებების პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელები. საინიციატივო ჯგუფს სათავეში ჩაუდგა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ჯ. ბაგრატიონი. ჯგუფის წევრები არიან: თ. იმნაიშვილი, ნ. ალექსანდრია, შ. ხაბარელი, ნ. სალუქვაძე, ი. გუტიაკულოვი, გ. გედეხაური, გ. საღარაძე, ზ. ხაინდრავა, ნ. მესხი, მ. მნათობიშვილი, ვ. ყენტი, გ. ძაგნიძე, გ. ჩიქოვანი და გ. ტატიშვილი.

ლელა მესხი ნახევარფინალში

ახალი ზელანდია ჩვენ სახელოვან ჩოგბურთელს ლელა მესხს კარგად აქვს დაცდილი. აი, ახლაც, ველინგტონში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ჩოგბურთელმა, რომელიც ორგანიზატორთა გადწყვეტილებით პირველ ნომრად იყო განთესილი, ორი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და მეოთხეფინალში ჩეხოსლოვაკიელ ევა სკიგლეროვას შეხვდა. მესხის უპირატესობა ამჯერადაც უდავო იყო. მან გაიარჯვა ორ პარტიაში — 6:3, 6:4

სხვა მეოთხედფინალური შეხვედრებიდან აღსანიშნავია კრისტინ გუ�ჯა (ავსტრალია) გამარჯვება ბარბარა რიტნერთან (გერმანია), ანდრეა სტრნადოვასი (ჩეხოსლოვაკია) — ლუიზა ფილდთან (ავსტრალია), კარინ კანტრეკისა (საფრანგეთი) — საბინა ხაკთან (გერმანია).

ნერილი ქუთაისიდან

გაცნობებთ, რომ საქართველოს ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაცია უკვე მეორე წელია, აღარებს საქართველოს ჩემპიონატს და თასის გათამაშებას ბალახის ჰოკეში. ისტორიული წყაროებიდან, აღნიშნული სახეობა საქართველოში ცნობილი იყო, როგორც „ჰოკი ჯოხის“ თამაში. ამჟამად ფედერაცია ზრუნავს ამ სახეობის ასაღორძინებლად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რესპუბლიკაში დამოუკიდებელი სპორტული თამაშების იატარებისას შეჯიბრებათა სახეობებში გაითვალისწინონ ბალახის ჰოკეი. ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში და ეროვნული სპორტული თამაშების ჩატარების შეთხვევაში გამოვიყენთ ვაქებში 8 გუნდს და ქალებში 6 გუნდს. გავიღებთ აგრეთვე თანხას შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

რ. რობაქიძე,
ხეოკ-ის წევრი, ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე.

დღეს ნახევარფინალებია

გუშინ სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დარბაზში დამთავრდა მინიფეხბურთში რესპუბლიკის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები ვიტალი დარასელიას სახელობის პრიზზე. როგორც იცით, გათამაშების შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ორ ქვეჯგუფში გაერთიანებული 8 გუნდი არკვევდა ურთიერთობას. ნახევარფინალის საგზურები პირველი ქვეჯგუფიდან თბილისის „ვაკემ“ და წითელხევის „ბაღდათმა“ მოიპოვეს, მეორე ქვეჯგუფში კი უძლიერესები ნატანების „ნატანები“ და რუსთავის „რუსთავი“ იყვნენ. ნახევარფინალური შეხვედრები დღეს გაიმართება სპორტის სასახლის დარბაზში 16 და 17 საათზე. ერთმანეთს შეხვდებიან „ვაკე“ — „ნატანები“ და „ბაღდათი“ — „რუსთავი“.

მატიანე

პირველად ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში 1962 წელს გახდა, თუმცა ზარიბეგ ბერიაშვილს სპეციალისტები მანამდეც იცნობდნენ, როგორც უაღრესად თავისებურ, ორიგინალური სტილის ფალავანს. იმასაც ამბობდნენ, რომ მისი ჭიდაობა ოფიციალურ კანონებს არ ემორჩილებაო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს კანონს, როცა სპორტსმენი მის გარეშეც აღწევს მიზანს?

მანამდე მსუბუქ წონაში ფავორიტი ვლადიმერ სინიავსკი იყო — აღიარებული მოჭიდავე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჯერ კიდევ 1959 წელს მოიპოვა. მაგრამ სინიავსკის მემკვიდრეც საკმაოდ კერკეტა კაკალი გამოდგა. იგი დიდხანს იცავდა წარმატებით ქართული საჭიდაო სკოლის სახელს როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

სხვათა შორის, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის დავით ციმაკურიძეს თავისებურ რეკორდსმენად მიიჩნევენ, ვინაიდან შვიდჯერ ფლობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს. ბერიაშვილი მას მხოლოდ ერთი ოქროს მედლით ჩამორჩა. სამაგიეროდ, მან ჩამოიტოვა ხალიჩის აღიარებული ოსტატები: ვახტანგ ბალავაძე და გიორგი სხირტლაძე, ვალერშაკ მაჩკალიანი და შოთა ლომიძე, ლევან თედიაშვილი და გურამ საღარაძე, ვლადიმერ რუბაშვილი და ბევრი სხვა სახელოვანი ფალავანი.

ზარიბეგ ბერიაშვილზე ამბობდნენ, იშვიათად სწყალობდა ბედიო, მაგრამ მთლად ასე არ იყო. უბრალოდ, ბერიაშვილის დროს ბევრი ექსტრაკლასის მოჭიდავე გამოდიოდა მსუბუქ და პირველ საშუალო წონებში და ამიტომაც ფავორიტთა გუნდში წარმოუდგენლად დიდი „სივიწროვე“ იყო (ეს ერთნაირად ეხება იაპონელ იუსახო ხარიუჩის და თურქ მოჰამედ ათალაის, ირანელ აბდულა მოვახედს და ბულგარელ ენიუ ვილჩევს).

თავისუფალ ჭიდაობაში ამ მოჭიდავეებმა, ისევე როგორც ზარიბეგმა, მთელი ეპოქა შექმნეს. 1969 წელს შორეული არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში უკანასკნელად გაიელვა ბერიაშვილის გვარმა. მერე კი ნელ-ნელა განშორების დროც დადგა. ზარიბეგი უყვარდა მაყურებელს, უყვარდა სპორტულ საზოგადოებრიობას, უყვარდათ მოჭიდავეებს, მეგობრებსაც, მეტოქეებსაც და ამიტომ გულთბილად გააცილეს სპორტიდან.

აი ამ ფოტოზეც მისი გაცილების ერთი ფრაგმენტია აღბეჭდილი. ეს მოხდა თბილისის სპორტის სასახლეში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ერთ-ერთი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დროს. იუბილარს წარმატებას უსურვებს აწ გარდაცვლილი სახელოვანი ძიუდოისტი ანზორ კიკნაძე.

...მაგრამ ზარიბეგ ბერიაშვილი დღესაც სპორტით ცხოვრობს, თუმცა კი, თბილისის № 3 სატაქსომოტორო საწარმოო გაერთიანების დირექტორია და თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო თავის ძველ გატაცებასთან. არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ იგი ისეთი კაცია, რომელსაც ძველი სიყვარულის ღალატი არ შეუძლია. და მან ჭიდაობასთან ურთიერთობის ახალი, უაღრესად კეთილშობილური ფორმა გამონახა — სპონსორობა: ზზლახან თბილისში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირს ზარიბეგ ბერიაშვილის სახით ერთი ღირსეული ხელშემწყობი და მფარველი ჰყავდა.

გუდაური-93-მსოფლიო

ჟურნალისტთა „პრეს-ცენტრი“

1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში ჟურნალისტთა შორის გუდაურში გაიმართება! ამ გადაწყვეტილებას ველოდით და არც ველოდით. თუმცა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები უპირატესობას გუდაურს ანიჭებდნენ, ვიდრე სკიჟ-ის (მოთხილამურე ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია) სესია საბოლოო სიტყვას იტყოდა, მაინც ვშიშობდით. კარგად გვახსოვს, თავის დროზე როგორ ამჯობინეს სოჭი ბაკურიანს. საბედნიეროდ, გუდაურის საკითხი შვეიცარიაში წყდებოდა და არა მოსკოვში, ვერც მსოფლიოს გამოჩენილ ჟურნალისტთა კეთილსინდისიერებას შევადარებ საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის წევრი იმ „მორჩილი უმრავლესობის“ პატიოსნებას, რომელთა შორის თითქმის 85 პროცენტი რუსეთის წარმომადგენელია. განსხვავება კიდევ ისაა, რომ უცხოელი გულღიაა, რასაც ფიქრობს, იმას გეტყვის, არ ითვალთმაქცებს და კენჭისყრის დროსაც იმავე აზრს გამოხატავს, რაც მანამდე გაგანდო.

კრანს-მონტანაში, შვეიცარიის ამ ერთ-ერთ ულამაზეს მაღალმთიან საკურორტო ცენტრში, სადაც ჩემპიონატის დღეებში სკიჟ-ის სესია გაიმართა, მოთხილამურე ჟურნალისტთა 1993 წლის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარების მომხრენი უფრო მეტნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მოველოდით. ეს მართლაც ბრწყინვალე გამარჯვება იყო!

ვისარგებლებთ მკითხველის სულგრძელობით და მოკლედ გავიხსენებთ დღეს უკვე მთელს მსოფლიოში ესოდენ პოპულარული ასპარეზობის ისტორიას. მოთხილამურე ჟურნალისტთა ჩემპიონატების მართიანე 1955 წლიდან იწყება — სწორედ მაშინ ჩატარდა პირველი შეჯიბრება. ერთხელ, კერძოდ, 1977 წელს, სკიჟ-ის ალამი ბაკურიანშიც ფრიალებდა. ჩემპიონატმა პლანეტის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სათხილამურო კერა მოიარა.

მსოფლიო რანგის ასპარეზობის ავტორიტეტს მასში სპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით განსაზღვრავენ, სკიჟ-ის ჩემპიონატის ავტორიტეტს კი მსოფლიო ჟურნალისტიკის ელიტა განაპირობებს. ქვეყნები, რომლებსაც ამ ჩემპიონატის მასპინძლობის შესაძლებლობა აქვთ, ასე ვთქვათ, რიგში დგანან და, თუ საწადელს მიაღწიეს, მერე მუდამ იმას ცდილობენ, ასპარეზობა წინანდელზე უკეთ ჩაატარონ. ჟურნალისტებიც მოუთმენლად ელიან ერთმანეთთან შეხვედრას. ჩემპიონატი, წარმოიდგინეთ, ძალაუნებურად მოგვაგონებს მსოფლიო პრეს-ცენტრს, სადაც თავს იყრიან საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები, აანალიზებენ „მშფოთვარე მსოფლიოში“ მიმდინარე პროცესებს. არ გადავაჭარბებთ, იმასაც თუ ვიტყვით, რომ ჟურნალისტთა ჩემპიონატის მასპინძლობა განსაკუთრებით საამაყოა ნებისმიერი ქვეყნისთვის. გარდა იმისა, რომ ეს ქვეყანა ერთბაშად ექცევა მსოფლიო ყურადღების ცენტრში, სტუმარ ჟურნალისტთა მეშვეობით იგი ერთგვარად პროპაგანდას უწევს თავისი დალხინებული ცხოვრების წესს, ზოგიც გადასაჭრელ პრობლემებს მიაპყრობს ფართო საზოგადოების ყურადღებას. ჯერ არ ვიცით, ორი წლის შემდეგ ჩვენ რაზე მოგვიხდება სტუმარ ჟურნალისტთა ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ცხადია, უთუოდ მოგვეცემა მსოფლიოში სიმართლის გატანის შესაძლებლობა.

ამ პოპულარული ჩემპიონატის გუდაურში ჩატარების უფლების მოპოვება იოლი საქმე არ გახლდათ. შეიძლება ითქვას, მთელმა სიმძიმემ რამდენიმე ადამიანის მხრებზე გადაიარა. უმადურება იქნებოდა ამის დაუნახაობა.

პიროვნული ურთიერთობების მნიშვნელობა და შესაძლებლობები ჩვენში დიდხანს უკანა პლანზე იყო გადაწეული, ყველაფერს ცენტრი წყვეტდა, იქ ფიქრობდნენ შენს მაგივრად, შენს ინტერესებს ყველგან და ყოველთვის სხვა წარმოადგენდა, მეტწილად კი საკითხები საერთაშორისო დონეზე წყდებოდა ზემძლავრი საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკით. სიტყვა გაგვიგრძელდა, ამიტომ მოკლედ ვიტყვით: საქართველოს წარმომადგენლებმა ამჯერად ყველაფერი თავად გადაწყვიტეს. გადაწყვიტეს ალალი და ხალასი ურთიერთობით, ნდობით, მსოფლიოს საღად მოაზროვნე ძალების აქტიური მხარდაჭერით. ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში ყველაზე თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით ზეზვა ღუღუნიშვილს და ვახტანგ მიქელაძეს, რომლებიც ოფიციალურად მიიწვიეს ჩემპიონატზე.

...კრანს-მონტანა, — ჩემპიონატის მასპინძელი კურორტი! ვერ ვიტყვით, რომ იგი შეიძლება ბაკურიანს შეადარო. ბაკურიანს სხვა ხიბლი აქვს, მაგრამ ჩვენი „თეთრი მარგალიტი“ შვეიცარიის ამ კურორტთან მაინც ვერ მოვა. ალბათ მიხვდით, ინფრასტრუქტურა მაქვს მხედველობაში. სრული კომფორტი, არავითარი პრობლემა, დასვენებისა და გართობის ადგილების მდიდარი არჩევანი, ყველგან უმაღლესი დონის მომსახურება, ყოველ ნაბიჯზე — საბაგირო გზები, შესანიშნავი ტრასები... მართალია, საკურორტო ბიზნესი ჩვენნაირთა ჯიბისთვის არ არის გამოგონილი, მაგრამ სხვებისთვის ასეთ კურორტზე ხელგაშლილობა პრესტიჟის საქმეა. კრანს-მონტანა ორი სოფლის ერთობლივი სახელია. სხვა კურორტებიც გვაჩვენეს, მაგალითად, გრეჩენი. აქ სულ 1200 კაცი ცხოვრობს და ერთდროულად 6 ათას დამსვენებელს ემსახურება — სწორედ ამდენ ადგილზეა გათვალისწინებული კერძო სასტუმროები.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ნამდვილად ზღაპრული ატმოსფერო შეუქმნეს ჟურნალისტ მოთხილამურეებს. თითოეული მონაწილის მომსახურება, არაოფიციალური ცნობით, 5 ათას დოლარზე მეტი დაჯდათ. მსურველი ბევრი იყო, მაგრამ სპონსორობა მხოლოდ ყველაზე ცნობილ ფირმებს ანდეს. ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ ორი წლის შემდეგ ჩვენც დაგვჭირდება პოპულარული ორგანიზაციების სპონსორობა და თანადგომა.

„ლელოს“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ ის სირთულეები, რომელთა შესახებაც მოსკოვიდან შვეიცარიაში გამგზავრების წინ ვიუწყებოდით, კერძოდ, ვწერდით, რომ საქართველოს დელეგაციის წევრებს, მას შემდეგ, რაც საბაჟო კონტროლი უკვე გავიარეთ, გზა ბილეთების რეგისტრაციაზე მომუშავე მოხელეებთან გადაგვიკეტეს. ვერ მოგვისწრო ერთმა მოსკოველმა ჟურნალისტმა, რომელსაც ჩვენი ბილეთები წინასწარ ჰქონდა აღებული. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერში აღნიშნული იყო ჩვენი გვარები და ჩვენივე ადგილები ხელახლა „შევისყიდეთ“, არაფერმა გაჭრა. შემდეგი რეისი კი ჟენევისკენ... ერთი კვირის თავზე იყო დანიშნული, მაშინ, როცა შვეიცარიაში ჩვენი ჩასვლა უკვე უახლოესობა იქნებოდა. საბედნიეროდ, მეორე დღეს ციურიხში მიფრინავდა ლაინერი, ჩვენ სწორედ ამ რეისით მოვახერხეთ გამგზავრება.

თენგიზ ბაჩეჩილაძე,
„ლელოს“ სპეც. კორესპონდენტი.

შვეიცარია.

(გაგრძელება იქნება)

● ელექტრომატარებელი შვეიცარიის მთებში.



● კრანს-მონტანა. ზამთარში ამ კურორტზე უამრავ დამსვენებელს იხილავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

გამოსამაურება

შემვარდნიადა! არა, არ გამოდგება

„უმჯობესია ჩუმად იყო მანამ, სანამ არ შეგიძლია ისეთი რამ თქვა, რომელიც შენს დუმილზე გონივრულია“.

პითაგორელების დევიზი

ეს წერილი ეხება სპორტში ერთი გაუმართლებელი სიტყვის შემოღების მცდელობას, რომელიც გაზეთმა „ლელომ“ მსჯელობის საგნად აქცია. ამ ბოლო დროს ჩვენში ჯინსის შარვალივით მოდად იქცა ქართულ ენაში უცხო სიტყვების აღრევა, ზოგჯერ გაუმართლებელისაც. თუმცა, სამართლე რომ ვთქვათ, უცხო სიტყვების დედაენაში აღრევა არასოდეს გამართლებული არ ყოფილა. მახსოვს, ერთ რაიონულ გაზეთში პატარა სტატია წავიკითხე, დავთვალე და 32 უცხო სიტყვა იყო. რამდენიმე წლის უკან ჩვენს პრესაში გამოჩნდა სიტყვა ამპლუა, რომელიც ისე მოედო ქვეყანას, რომ ერთმა მომხსენებელმა თქვა, ჩემს ამპლუაშიო (გვარს არ ვასახელებ). შემდეგ პასკვილი მოიგონეს, პასკვილი კრედომ შეცვალა, სპორტულ სტატიებში ჰეთ-თრიკი, მერიდიანი (ჭადრაკის მერიდიანზე, ფეხბურთის მერიდიანზე) და სხვა ტერმინები გამოჩნდა. ჯერჯერობით პარალელი არავის უხსენებია. ამ ბოლო ხანს კი ორი სიტყვა მძვინვარებს — პოზიცია და კონცეფცია. შარშან ერთ რაიონში მასწავლებელთა თათბირზე კამათში გამოსულმა ცხრა მასწავლებელმა 82-ჯერ ახსენა სიტყვა კონცეფცია. პოზიცია და კონცეფცია, ვიმედოვნებ, მინიკაბასავით გადავა მოდიდან, მაგრამ, რა ვუყოთ ისეთ სიტყვას, რომელიც სამუდამოდ უნდა დარჩეს და გაუმართლებელია. სიტყვა შევარდენიადაზე მოგახსენებთ — ამ ქართულ-ბერძნულის ნაჯვარზე, რომელსაც გვთავაზობენ სპორტულ ღონისძიებას დავარქვათო. ეს სიტყვა ქართული ენისათვის ნამდვილად მიუღებელია, იმიტომ, რომ სიტყვა გრძელია, არამუსიკალურია, უცხოელისთვის ძნელი წარმოსათქმელია და, აბა, ვის ესიამოვნება, თქვას, შევარდენიადის ჩემპიონი ვარო. ისე, ხირცხვილი კია, იმ ქვეყანაში, სადაც უამრავ საგანს ხუთი-ექვსი სახელი აქვს, ერთ-ერთ ულამაზეს მაღალმთიან საკურორტო ცენტრში, სადაც ჩემპიონატის დღეებში სკიჟ-ის სესია გაიმართა, მოთხილამურე ჟურნალისტთა 1993 წლის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარების მომხრენი უფრო მეტნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მოველოდით. ეს მართლაც ბრწყინვალე გამარჯვება იყო!

ვისარგებლებთ მკითხველის სულგრძელობით და მოკლედ გავიხსენებთ დღეს უკვე მთელს მსოფლიოში ესოდენ პოპულარული ასპარეზობის ისტორიას. მოთხილამურე ჟურნალისტთა ჩემპიონატების მართიანე 1955 წლიდან იწყება — სწორედ მაშინ ჩატარდა პირველი შეჯიბრება. ერთხელ, კერძოდ, 1977 წელს, სკიჟ-ის ალამი ბაკურიანშიც ფრიალებდა. ჩემპიონატმა პლანეტის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სათხილამურო კერა მოიარა.

მსოფლიო რანგის ასპარეზობის ავტორიტეტს მასში სპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით განსაზღვრავენ, სკიჟ-ის ჩემპიონატის ავტორიტეტს კი მსოფლიო ჟურნალისტიკის ელიტა განაპირობებს. ქვეყნები, რომლებსაც ამ ჩემპიონატის მასპინძლობის შესაძლებლობა აქვთ, ასე ვთქვათ, რიგში დგანან და, თუ საწადელს მიაღწიეს, მერე მუდამ იმას ცდილობენ, ასპარეზობა წინანდელზე უკეთ ჩაატარონ. ჟურნალისტებიც მოუთმენლად ელიან ერთმანეთთან შეხვედრას. ჩემპიონატი, წარმოიდგინეთ, ძალაუნებურად მოგვაგონებს მსოფლიო პრეს-ცენტრს, სადაც თავს იყრიან საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები, აანალიზებენ „მშფოთვარე მსოფლიოში“ მიმდინარე პროცესებს. არ გადავაჭარბებთ, იმასაც თუ ვიტყვით, რომ ჟურნალისტთა ჩემპიონატის მასპინძლობა განსაკუთრებით საამაყოა ნებისმიერი ქვეყნისთვის. გარდა იმისა, რომ ეს ქვეყანა ერთბაშად ექცევა მსოფლიო ყურადღების ცენტრში, სტუმარ ჟურნალისტთა მეშვეობით იგი ერთგვარად პროპაგანდას უწევს თავისი დალხინებული ცხოვრების წესს, ზოგიც გადასაჭრელ პრობლემებს მიაპყრობს ფართო საზოგადოების ყურადღებას. ჯერ არ ვიცით, ორი წლის შემდეგ ჩვენ რაზე მოგვიხდება სტუმარ ჟურნალისტთა ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ცხადია, უთუოდ მოგვეცემა მსოფლიოში სიმართლის გატანის შესაძლებლობა.

ამ პოპულარული ჩემპიონატის გუდაურში ჩატარების უფლების მოპოვება იოლი საქმე არ გახლდათ. შეიძლება ითქვას, მთელმა სიმძიმემ რამდენიმე ადამიანის მხრებზე გადაიარა. უმადურება იქნებოდა ამის დაუნახაობა.

პიროვნული ურთიერთობების მნიშვნელობა და შესაძლებლობები ჩვენში დიდხანს უკანა პლანზე იყო გადაწეული, ყველაფერს ცენტრი წყვეტდა, იქ ფიქრობდნენ შენს მაგივრად, შენს ინტერესებს ყველგან და ყოველთვის სხვა წარმოადგენდა, მეტწილად კი საკითხები საერთაშორისო დონეზე წყდებოდა ზემძლავრი საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკით. სიტყვა გაგვიგრძელდა, ამიტომ მოკლედ ვიტყვით: საქართველოს წარმომადგენლებმა ამჯერად ყველაფერი თავად გადაწყვიტეს. გადაწყვიტეს ალალი და ხალასი ურთიერთობით, ნდობით, მსოფლიოს საღად მოაზროვნე ძალების აქტიური მხარდაჭერით. ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში ყველაზე თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით ზეზვა ღუღუნიშვილს და ვახტანგ მიქელაძეს, რომლებიც ოფიციალურად მიიწვიეს ჩემპიონატზე.

...კრანს-მონტანა, — ჩემპიონატის მასპინძელი კურორტი! ვერ ვიტყვით, რომ იგი შეიძლება ბაკურიანს შეადარო. ბაკურიანს სხვა ხიბლი აქვს, მაგრამ ჩვენი „თეთრი მარგალიტი“ შვეიცარიის ამ კურორტთან მაინც ვერ მოვა. ალბათ მიხვდით, ინფრასტრუქტურა მაქვს მხედველობაში. სრული კომფორტი, არავითარი პრობლემა, დასვენებისა და გართობის ადგილების მდიდარი არჩევანი, ყველგან უმაღლესი დონის მომსახურება, ყოველ ნაბიჯზე — საბაგირო გზები, შესანიშნავი ტრასები... მართალია, საკურორტო ბიზნესი ჩვენნაირთა ჯიბისთვის არ არის გამოგონილი, მაგრამ სხვებისთვის ასეთ კურორტზე ხელგაშლილობა პრესტიჟის საქმეა. კრანს-მონტანა ორი სოფლის ერთობლივი სახელია. სხვა კურორტებიც გვაჩვენეს, მაგალითად, გრეჩენი. აქ სულ 1200 კაცი ცხოვრობს და ერთდროულად 6 ათას დამსვენებელს ემსახურება — სწორედ ამდენ ადგილზეა გათვალისწინებული კერძო სასტუმროები.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ნამდვილად ზღაპრული ატმოსფერო შეუქმნეს ჟურნალისტ მოთხილამურეებს. თითოეული მონაწილის მომსახურება, არაოფიციალური ცნობით, 5 ათას დოლარზე მეტი დაჯდა. მსურველი ბევრი იყო, მაგრამ სპონსორობა მხოლოდ ყველაზე ცნობილ ფირმებს ანდეს. ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ ორი წლის შემდეგ ჩვენც დაგვჭირდება პოპულარული ორგანიზაციების სპონსორობა და თანადგომა.

„ლელოს“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ ის სირთულეები, რომელთა შესახებაც მოსკოვიდან შვეიცარიაში გამგზავრების წინ ვიუწყებოდით, კერძოდ, ვწერდით, რომ საქართველოს დელეგაციის წევრებს, მას შემდეგ, რაც საბაჟო კონტროლი უკვე გავიარეთ, გზა ბილეთების რეგისტრაციაზე მომუშავე მოხელეებთან გადაგვიკეტეს. ვერ მოგვისწრო ერთმა მოსკოველმა ჟურნალისტმა, რომელსაც ჩვენი ბილეთები წინასწარ ჰქონდა აღებული. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერში აღნიშნული იყო ჩვენი გვარები და ჩვენივე ადგილები ხელახლა „შევისყიდეთ“, არაფერმა გაჭრა. შემდეგი რეისი კი ჟენევისკენ... ერთი კვირის თავზე იყო დანიშნული, მაშინ, როცა შვეიცარიაში ჩვენი ჩასვლა უკვე უახლოესობა იქნებოდა. საბედნიეროდ, მეორე დღეს ციურიხში მიფრინავდა ლაინერი, ჩვენ სწორედ ამ რეისით მოვახერხეთ გამგზავრება.

თენგიზ ბაჩეჩილაძე,
„ლელოს“ სპეც. კორესპონდენტი.

შვეიცარია.

(გაგრძელება იქნება)

უპირველესად, რეალიზაცია...

თითქმის ორ წელზე მეტია, რაც ქუთაისში დაარსდა ავტოქარხანასთან არსებული სპორტული ტრენაჟორების დამამზადებელი კოოპერატივი „კოლხიდა“. რა უპირო, რა ულხინთ, კოოპერატორებს? ამ საკითხზე ვესაუბრე კოოპერატივ „კოლხიდას“ თავმჯდომარეს ბადრი ჯღარკავას.

გამოირკვა, რომ მათ უამრავი პრობლემა აქვთ. უპირველესად, უპირთ კოოპერატივის მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია. ქუთაისის საწარმო-დაწესებულებები, ქარხნები გართულებული ფინანსური მდგომარეობის მიზეზით ვერ იძენენ კოოპერატივის მიერ დამზადებულ პროდუქციას. რაც შეეხება ქარხანა „ავანგარდს“, შენობის სივიწროვის გამო, თავს იკავებს პროდუქციის შესყიდვაზე.

არადა, აღსანიშნავია, რომ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებისა და ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები კმაყოფილები არიან კოოპერატივის მიერ დამზადებული პროდუქციით. რაც შეეხება სარეალიზაციოდ გამზადებულ საქონელს, რომელშიც 16 დასახელების სხვადასხვა სპორტული ინვენტარი შედის, კომპლექტის ღირებულება შეადგენს 16,200 მანეთს. კოოპერატივი იმაზეც თანახმაა, რომ კომპლექტი ნაწილ-ნაწილ შესთავაზოს ყველა მსურველს.

ქუთაისში არსებული სპეციალური საკონსტრუქციო ბიურო კოოპერატივ „კოლხიდას“ შეეპირდა თითოეული სავარჯიშო იარაღ-მოწყობილობის ტექნიკური პასპორტის დამზადებას. და, ალბათ, უახლოეს ხანში შეუსრულებს დანაპირებს.

კოოპერატივის ხელმძღვანელობა მზადაა, ვინც მათ დახმარებას გაუწევს პროდუქციის რეალიზაციაში, თითოეული კომპლექტის ღირებულებიდან გადაუხადოს 1.000 მანეთი, რაც 16.200 მანეთის ექვსი პროცენტია.

ჩვენი აზრით, არ იქნებოდა ურიგო, თუ კოოპერატივ „კოლხიდას“ სპონსორად ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი მოეგლინებოდა — ისინი ხომ ჩინებულ ურთიერთკავშირში არიან!

ბერაბ კვანტალიანი,
ბ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.
ქუთაისი.

ცვლილებები, პრობლემები, მიზანი

პირველ ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში ფოთის „კოლხეთი-1913“-მა უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა — უკან ჩამოიტოვა ისეთი ტიტულოვანი კლუბები, როგორიცაა ბათუმის „ბათუმი“, სოხუმის „ცხუმი“ და მრავალი სხვა. ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, თუ რა კარგად დაიწყო ფოთის გუნდმა ეროვნული ჩემპიონატი: პირველ კალენდარულ შეხვედრაში ქართული ფეხბურთის ფლაგმანს — თბილისის „იბერიის“ სძლია და ერთბაშად საკმაოდ პოპულარულ კოლექტივად იქცა; შემდეგ სტუმრად სამი მატჩიც დაუმარცხებლად ჩაატარა. პირველი წარუმატებლობა „კოლხეთი-1913“-მა საკუთარ მინდორზე რუსთავის „გორდასთან“ განიცადა. გორში წარმატებამ კი კვლავ სასიკეთოდ აამოქმედა გუნდის პოტენციალი, თუმცა, მალე ისევ უკუღმა დაუტრიალდათ ფოთელებს „ჩარხი“ — დაიწყო ხანგრძლივი კრიზისი. ამის მიზეზად მთავარი მწვრთნელის გუნდში არყოფნას მიიჩნევდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ ფოთის სტადიონი სამი კალენდარული მატჩით იქნა დისკვალიფიცირებული, ამან ის გამოიწვია, რომ ფოთელები (რომელთაც „იბერიაც“ კი დაამარცხეს), გათამაშების ცხრილის ქვედა ნაწილში მოექცნენ. ამ დროისათვის გუნდის მთავარ მწვრთნელად ადგილობრივი მკვიდრი სოსო ფილია დაინიშნა, რის შემდეგაც „კოლხეთი-1913“-მა კარგად ჩაატარა შეხვედრების მთელი სერია და სეზონი მეხუთე ადგილით დაამთავრა.

ჩვენი კორესპონდენტი ამ დღეებში შეხვდა „კოლხეთი-1913“-ის მთავარ მწვრთნელს ს. ფილიას და გუნდის წლევანდელი სეზონისათვის მზადების შესახებ ესაუბრა მას.

— მზადება სამ ეტაპად გვაქვს გათვალისწინებული — თქვა ს. ფილიამ. — პირველი ეტაპი გუნდმა ფოთში გაიარა, სადაც ძირითადი ყურადღება ფიზიკურ მომზადებაზე გვქონდა გამახვილებული; მეორე ეტაპი — ორი ხანმოკლე საწვრთნელი ციკლი — ჩატარდა ჯერ ეშერაში, შემდეგ კვლავ ფოთში; ბოლო ეტაპს ისევ ეშერაში გავიელით, სადაც რამდენიმე საწვრთნელ მატჩს გავმართავთ. სწორედ ამის შემდეგ დაკომპლექტდება გუნდის საბოლოო შემადგენლობაც.

● **რა ცვლილებებია კლუბში?**

— გუნდის ბირთვი იგივე დარჩა. „კოლხეთი-1913“ დატოვეს ავრამიდისმა და ინიაშვილმა. ჩვენს კოლექტივში თამაშის სურვილი გამოთქვა ტყიბულის „ოკრიბის“ მცველმა გენძეხაძემ. შევიმატეთ, აგრეთვე, რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი ფოთის მეორე გუნდიდან.

● **რა პრობლემები აქვს დღეს თქვენს გუნდს?**

— მთავარი პრობლემა, ისევე, როგორც რესპუბლიკის სხვა კლუბებისა, საწვრთნელი ბაზების უქონლობაა, რაც შეკრებების ნორმალურად ჩატარების საშუალებას არ გვაძლევს.

● **რა მიზნებს ისახავს „კოლხეთი-1918“ წელს?**

— ვითამაშოთ უკეთ, გავაუმჯობესოთ თამაშის ხარისხი, საინტერესო, შემტევი ფეხბურთი ვაჩვენოთ გულშემატკივრებს და წლევანდელ სეზონშიც უძლიერესთა ხუთეულში დავიმკვიდროთ ადგილი.

გელა გიორგაძე,
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

უველა ჩემპიონატში ითამაშეს

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონობის ორი უმთავრესი პრეტენდენტი, მილანის „ინტერი“ და ტურინის „იუვენტუსი“ ის ორად ორი გუნდიცაა, რომლებმაც დღემდე ქვეყნის ყველა ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

სტატისტიკოსებმა მათ მიერ მოგროვებული ქულების საერთო რაოდენობაც კი გამოითვალეს: „იუვენტუსს“ 2482 ქულა აქვს, ხოლო „ინტერს“ — 2370.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

უველაზე დიდი სენსაცია

IV ჯგუფი

	თ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	3	8-1	6
დანია	3	5-4	3
ფარერის კ-ბი	2	2-4	2
ჩრდ. ირლანდია	3	1-3	2
ავსტრია	3	1-5	1

თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, ფინალში იუგოსლავიელები უნდა გავიდნენ. თუმცა, თუ სენსაციებზე მიდგება საქმე, ამ ჯგუფის ერთი მატჩის შედეგი

ამიერიდან სპორტულ კურიოზებს შორის ერთ-ერთი პირველი იქნება.

მართლაცდა, სად მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის მონაწილე, „ვენური არშიების“ უმდიდრესი ტრადიციების გამგრძელებელი ავსტრიის ნაკრები და სად ფარერის კუნძულების ყველასათვის უცნობი გუნდი, რომელსაც ერთი ისეთი სტადიონიც კი არ გააჩნია, სტუმრები რომ მიიღოს და ამატომ, ნეიტრალურ მინდორზე თამაშობს. და საერთოდ, რა ქვეყანაა ეს ფარერის კუნძულები? ასეთი სახელმწიფო არ არსებობს, კუნძულები დანიის შემადგენლობაშია. მართალია, 1948 წლიდან რიქსდაგმა (დანიის პარლამენტმა) მას თვითმმართველობა მიანიჭა, მაგრამ თავისი საგანგებო ზედამხედველი დაუნიშნა. კუნძულების უმაღლესი ხელისუფალი დანიის დედოფალია. უფლებრივად, ვფიქრობთ, ძალიან არ შევცდებით, თუ მას საბჭოთა ავტონომიურ წარმონაქმნს შევადარებთ. თუმცა, არის ერთი ძალზე არსებითი განსხვავება: დანიელებს, კერძოდ, მათ ფეხბურთის ფედერაციას სრულიად არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ კუნძულების ნაკრებმა ევროპის, თუნდაც მსოფლიოს პირველობაზე ითამაშოს და ფიფაც, ასე ვთქვათ, ყაბულსაა. ეს მაშინ, როცა საბჭოთა ფეხბურთის ფედერაცია (გნებავთ, საკავშირო სპორტსახკომი) ცოცხალი თავით არ აძლევს საშუალებას ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს ნაკრებებს რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღონ მონაწილეობა. როდემდე?!

აი, სწორედ ამ ნაკრებმა მოუგო (1:0) ავსტრიელებს, რომლებისთვის შეჯიბრება, უკვე ფაქტობრივად, დამთავრდა...

იუგოსლავიელთა მწვრთნელ ივიცა ოსიმის პოზიციები ახლა ძალიან განმტკიცდა. მისმა გუნდმა უშუალო მეტოქეებთან ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა, აქედან ორი — სტუმრად! უკვე პირველივე მოგებამ (2:0) ბელფასტში ჩრდილო ირლანდიელებთან დიდი ფასი ჰქონდა. 31 ოქტომბერს იუგოსლავიელები პირველად გამოვიდნენ თავიანთ მინდორზე — ბელგრადში ავსტრიელები მიიღეს და დამაჯერებლად სძლიეს. აი, რა განაცხადა ბელგრადელ ჟურნალისტებთან საუბარში ავსტრიელების ახალმა მწვრთნელმა ალფრედ რიდლმა:

— ახლა იუგოსლავიელები ისე კარგად თამაშობენ, რომ ჩვენი დამარცხება გარდუვალი იყო, მატჩის ანგარიშიც გუნდების დონეთა შორის დიდ განსხვავებას ასახავს. რა თქმა უნდა, მსოფლიო კლასის რამდენიმე მოთამაშე გყავთ. იუგოსლავიის ნაკრები, პირადად მე, ახლა ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია. მისი ყველა მატჩი ვნახე მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ. ძალიან მომწონს სტოიკოვიჩი, პროსინეჩკი; ვულიჩი, სუშიჩი, სავიჩევიჩი. ასეთ გუნდთან დამარცხება არავისთვის არ არის სამარცხვინო. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, თანდათან უნდა გავუმჯობესოთ თამაში.

ივიცა ოსიმმა მატჩის შემდეგ თქვა:

— დღეს რომ ავსტრიელებს ვჯობდით, ეს ცხადია. ჩვენი მიზანია გუნდის გადახალისება, გამოცდილ ოსტატებთან ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების შეთამაშება, შედუღაბება. ისე კი, პრობლემები ჩვენც გვაქვს.

და აი, სულ ორი კვირის შემდეგ, 14 ნოემბერს, იუგოსლავიელებმა უკვე კოპენჰაგენში ითამაშეს, როგორც ჩანს, ჯგუფში ძირითად კონკურენტებთან — დანიელებთან. გუნდების შემადგენლობანი: დანია — შმაიხელი, სივაბეკი, ნიელსენი, ოლსენი, ჰაინეკე, ბერტრამი, მიოლბი (ელსტრუპი), ვილფორდი, პოულსენი (ივნსენი), მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი. იუგოსლავია — ივკოვიჩი, ვულიჩი, სპასიჩი, კატანეკი, ჰაჯიბეგიჩი, იოჯიჩი, იარმი, სუშიჩი, პანჩევი (ბობანი), ბაჟდარევიჩი, ვუიოვიჩი (ნაიდოვსკი).

როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იუგოსლავიის ნაკრებს დიდი ცვლილებები არ განუცდია. ეს კი, ამ მატჩში ტრავმის გამო არ თამაშობდა ორი ცნობილი ოსტატი: სტოიკოვიჩი და სავიჩევიჩი. არსებითად გადახალისებულ დანიის ნაკრებში კი ახლა გამოარჩევენ ძმებს, თავდამსხმელ ლაუდრუპებს.

მატჩი მეტად შეუპოვრად მიმდინარეობდა. 46 ათასი გულშემატკივარი მხურვალედ უჭერდა მხარს დანიის გუნდს, მაგრამ შეხვედრის მიწურულს იუგოსლავიელებმა მაინც გატეხეს მეტოქე: 78-ე წუთზე ცნობილმა ნახევარმცველმა ბაჟდარევიჩმა, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა მსოფლიო ჩემპიონატი, გახსნა ანგარიში, ხოლო 85-ე წუთზე იუგოსლავიელთა დებიუტანტმა იარნიმ მეორე გოლი გაიტანა. „შესანიშნავი საღამო კოპენჰაგენში“ — ასე დაასათაურა მიმომხილველმა მილევოი ნიკოლიჩმა თავისი კორესპონდენცია, რომელიც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტიში“ გამოქვეყნდა.

ბივი თორელი

„ლომების მომთვინიერებელი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას ახსოვს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი ინგლისისა და კამერუნის გუნდებს შორის, როცა აფრიკელმა ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს და მხოლოდ უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს ინგლისელებმა გამარჯვება. მაშინ კამერუნელთა კარში ორი ბურთი 11-მეტრიანებიდან გაიტანა ინგლისელთა ცნობილმა თავდამსხმელმა გარი ლინეკერმა. 6 თებერვალს ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერმანეთს, ამჯერად, ამხანაგურ მატჩში, ლონდონის „უემბლიზე“ და ინგლისელებმა კვლავ გაიმარჯვეს — 2:0. ეს ორი ბურთიც გ. ლინეკერმა გაიტანა. გამარჯვების მიუხედავად, თამაშმა არ გაამართლა ლონდონელ მაყურებელთა მოლოდინი (მათი რაოდენობა კი საკმაო იყო — 60 ათასი). ისინი დიდი ინტერესით მოელოდ-

ნენ კამერუნელთა ცნობილი თავდამსხმელის როჟე მილას გამოჩენას. 38 წლის ფეხბურთელმა კი, მინდორზე თავისი გამოსვლის საფასურად, თანაც არა დასაწყისიდან, არამედ მხოლოდ შემცვლელად, სოლიდური თანხა მოითხოვა, მაგრამ ინგლისის საფეხბურთო ფედერაციამ კატეგორიული უარი განაცხადა, საგანგებო გასამჯელო გაეღო ცალკეული ფეხბურთელებისთვის. რ. მილას გარდა, მატჩში არ მონაწილეობდა მეორე ცნობილი კამერუნელი ფეხბურთელი მაკანაკიც.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, „მოუთვინიერებელი ლომების“ წინააღმდეგ გამოვიდა არა მარტო ინგლისის ნაკრები, არამედ ბრიტანული ამინდიც: თოვლს 5 გრადუსი ყინვაც ემატებოდა. აფრიკელმა ფეხბურთელებმა სრულად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი, ინიციატივას მთლიანად მასპინძლები ფლობდნენ.

ანგარიში გაიხსნა მე-20 წუთზე, როცა კამერუნელმა მეკარემ ჟ.-ა. ბელმა საჯარიმო მოედანზე წააქცია გ. ლინეკერი და ამ უკანასკნელმაც გაიტანა 11-მეტრიანი. 61-ე წუთზე იმავე ლინეკერმა მეორე ბურთი გაიტანა. ამით გარი ლინეკერმა, რაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში გამოდის, 39-ე გოლი გაიტანა, რეკორდი კი ეკუთვნის განთქმულ ბობი ჩარლტონს, რომლის ანგარიშზეა 49 ბურთი.

სურათზე: გარი ლინეკერი.

* * *

განვლილ ოთხშაბათს კიდევ ერთი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გაიმართა — უელსის ნაკრებმა უმასპინძლა ირლანდიის გუნდს. გაიმარჯვეს ირლანდიელებმა — 3:0, ორი ბურთი გაიტანა კუინმა, ერთი — ბირნმა.

მეტოქეთა მწვრთნელებმა ჯეკი ჩარლტონმა (ირლანდია) და ტერი იორატმა (უელსი) აღნიშნეს, რომ ასეთ ყინვაში და ასეთ მინდორზე თამაშს აზრი არ ჰქონდა, მაგრამ არბიტრმა ფრედ მაკნიტმა თამაში მაინც ჩაატარა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

არ ცხრებიან....

ათენის აეროპორტში ხულიგნობა ჩაიდინეს ადგილობრივი კლუბის აეკ-ის საფეხბურთო გუნდის გულშემატკივრებმა, რომლებიც აქ დაბრუნდნენ თავიანთ გუნდს. აეკ-მა საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგ მატჩში თამაშის ბოლოსწინა წუთზე ერთადერთი და გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „ოლიმპიაკოსის“ კარში და გაიმარჯვა კიდეც — 1:0.

როცა აეროპორტში გამოჩნდნენ „ოლიმპიაკოსის“ ფეხბურთელები და ხელმძღვანელები, მათ შორის, მწვრთნელი ო. ბლოხინიც, აეკ-ის ქომაგები თავს დაესხნენ მათ. ატყდა ხელჩართული ჩხუბი, ლანძღვა-გინება. მხოლოდ პოლიციის აქტიური ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი დანაშაულის აღკვეთა.

„ოლიმპიაკოსის“ და აეკ-ის მატჩი ნეიტრალურ მინდორზე შედგა როდოსში. ეს იყო ამ ორი გუნდის იანვრის შეხვედრის გადათამაშება, მაშინ არბიტრმა მატჩი შეწყვიტა 82-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 2:1 „ოლიმპიაკოსის“ სასარგებლოდ, რადგან, სტადიონზე ატყდა ჩხუბი, რომლის დროს, დაიღუპა ერთი გულშემატკივარი.

მატჩი გლაზგოში

ნ თებერვალს გლაზგოში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში შოტლანდიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაშის დასასრულს 2 წუთი აკლდა, როცა საბჭოთა ფეხბურთელმა დ. კუზნეცოვმა ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. მატჩს დაესწრო 20 763 მაყურებელი.

საბჭოთა ნაკრებმა შოტლანდიელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: უვაროვი, ჩერნიშოვი, კულკოვი, ცვეიბა, გორლუკოვიჩი, შალიმოვი, ალეინიკოვი, კანჩელსკისი, იურანი (კოლივანოვი), მოსტოვოი (კუზნეცოვი), დობროვოლსკი.

● **ესპანეთი.** ეროვნულ ჩემპიონატში მოხდა სენსაცია: მადრიდის „რეალმა“, წლეულს არასტაბილური თამაშით რომ გამოირჩევა, გამანადგურებელი ანგარიშით — 7:0 დაამარცხა „სევილია“, რომელიც, პირიქით, მანამდე წარმატებით გამოდიოდა. მადრიდელებმა განსაკუთრებით ძლიერად ითამაშეს მატჩის მეორე ნახევარში.

კვლავინდებურად ლიდერობს „ბარსელონა“. მან ფრედ დაამთავრა თამაში „ვალენსიასთან“ — 2:2 და 4 ქულით უსწრებს მადრიდის „ატლეტიკოს“.

● **იტალია.** მილანის „ინტერმა“ ქულა დაკარგა „ბოლონიასთან“ შეხვედრაში (0:0), მისმა უახლოესმა მდევრებმა „მილანმა“ და „სამპდორიამ“ კი გაიმარჯვეს „ჩეზენასთან“ (2:0) და „ფიორენტინასთან“ (1:0) შეხვედრებში. იტალიის ჩემპიონატში ახლა 3 ლიდერია.

● **ბელგია.** ჩემპიონატის ეროერთი ცენტრალური შეხვედრა „გენტსა“ და „ანდერლეჰტს“ შორის დამთავრდა ფრედ — 1:1. ამჟამად წინაა „გენტი“ — 36 ქულა, მას კვალში მისდევს „ანდერლეჰტი“ — 35 ქულა, მესამე ადგილზეა „ბრიუგე“ — 32 ქულა. ბომბარდირთა შორის დაწინაურდა „გენტის“ თავდამსხმელი ე. ვანდენბერგი, რომელსაც 18 ბურთი აქვს გატანილი. „ანდერლეჰტის“ ფორვარდი ლ. ნილისი მას 3 გატანილი ბურთით ჩამორჩება.

● **ურუგვაი.** დამთავრდა ურუგვაის საფეხბურთო ჩემპიონატი და ყველასათვის მოულოდნელად პირველი ადგილი მოიპოვა „ბელა ვისტამ“, რომელმაც საკმაო სხვაობით გაუსწრო საერთაშორისო ფეხბურთში კარგად ცნობილ „ნასიონალს“ და „პენიაროლს“, ახალმა ჩემპიონმა 39 ქულა დაგროვა, „ნასიონალმა“ — 32, ხოლო „პენიაროლმა“ — 31. საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა „პენიაროლის“ თავდამსხმელმა ბარანმა — 11 ბურთი.

უველა ჩემპიონატში ითამაშეს

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონობის ორი უმთავრესი პრეტენდენტი, მილანის „ინტერი“ და ტურინის „იუვენტუსი“ ის ორად ორი გუნდიცაა, რომლებმაც დღემდე ქვეყნის ყველა ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

სტატისტიკოსებმა მათ მიერ მოგროვებული ქულების საერთო რაოდენობაც კი გამოითვალეს: „იუვენტუსს“ 2482 ქულა აქვს, ხოლო „ინტერს“ — 2370.

თქვენი სვლაა, მასწავლებელო!

მოგეხსენებათ, რაოდენ პოპულარულია საქართველოში ჭადრაკი — თამაში, რომელსაც სიამოვნებით მისდევენ ნებისმიერი ასაკის ადამიანები. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა მეოთხე სპარტაკიადის პროგრამაშ, ცხადია, მოჭადრაკეთა ტურნირსაც ითვალისწინებდა. შეჯიბრება სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ საჭადრაკო კლუბში ჩატარდა. მოსპარეზეთა შემადგენლობა მართლაც რომ წარმომადგენლობითი იყო. საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი, საერთაშორისო დიდოსტატი დავით გურგენიძე, საერთაშორისო არბიტრი თენგიზ გიორგაძე... ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. პირველობას ერთმანეთს შეეცილნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრეად — 1,5:1,5, მაგრამ გამარჯვება ტექნიკურ უნივერსიტეტს შეენიშა, რადგან, პირველ დაფაზე ამ სასწავლებლის წარმომადგენელმა გაიმარჯვა. III ადგილი დაიკავა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის გუნდმა.

შეჯიბრების დასურვისას გამოითქვა აზრი, რომ შემდგომში ჩატარდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტკლუბების საჭადრაკო ფესტივალი პროფესორ-მასწავლებელთა. და სტუდენტთა ერთიანი გუნდებით.

ოთარ ალიხანაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ჩოგბურთის აშგეგი

ტოკიო. მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა მორიგი მარცხი განიცადა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში. მას ამჯერადაც აჯობა „ყველაზე უხერხულმა მეტოქემ“, არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ — 4:6, 6:4, 7:6. ორთაბრძოლამ ორ საათს გასტანა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს არგენტინელი თავის მთავარ კონკურენტს მეტწილად უგებს.

საბედისწერო გამოდგა ეს ტურნირი ავსტრალიის ამასწინანდელ ღია ჩემპიონატში გამარჯვებულ იუგოსლავიელ მონიკა სელეშისთვისაც. მატჩის წინ მოთელვაზე მან უხერხულად გადადგა ფეხი, მიიღო ტრავმა და, ექიმების აზრით, რამდენიმე კვირით გამოეთხოვება ჩოგბურთს.

კრაისტჩერჩი. (ახალი ზელანდია). დევისის თასის გათამაშების ჯალენდარულ შეხვედრაში ადგილობრივ და არგენტინის გუნდებს შორის დაწინაურდნენ სტუმრები — 2:0. მარტინ ჰაიტემ აჯობა ბრეტ სტივენსს (7:5, 6:2, 6:2), ხავიერ ფრანამ კი კელი ევერდენს (7:6, 6:4, 6:3).

მილანი. აქ დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათას დოლარს შეადგენს. პირველ წრეში უფელი ანდრეი ჩერკასოვი დამარცხდა 1987 წლის უიმბლდონის ჩემპიონ პატ კეშთან (ავსტრალია) 5:7, 6:4, 6:7. სხვა ორთაბრძოლებიდან აღსანიშნავია ივან ლენდლის (ჩეხოსლოვაკია) გამარჯვება მაგნუს ლარსონთან (შვეცია), იაკობ ჰლასეკისა (ავსტრია) — ანდერს იარიდთან (შვეცია), კარლ უვე შტეებისა (გერმანია) — მაიკლ ჩანგთან (აშშ).

მეორე ტური დაიწყო ივან ლენდლის სენსაციური დამარცხებით 20 წლის იტალიელ კრისტიანო კარატისთან (4:6, 6:1, 6:7), რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 79-ე ადგილი უკავია.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა პატ კეშმა, ამჯერად იუგოსლავიელ გორან პრიჰიჩთან ორთაბრძოლაში — 7:5, 6:3, და მეოთხედფინალში გავიდა.

ვის რამდენს აძლევენ

ამერიკული გაზეთის „სპორტინგ ნიუსის“ მონაცემებით, ნხლ-ის ლიგაში ყველაზე მაღალ ჰონორარებს შემდეგი ჰოკეისტები იღებენ: უ. გრეტკი („ლოს-ანჯელეს კინგზი“) და მ. ლემიე („პიტსბურგ პინგვინზი“) — წელიწადში ორ მილიონ დოლარზე მეტს; მ. მესიერი („ედმონტონ იოლერსი“) — ერთ მილიონზე მეტს; დ. ტეილორი („ლოს-ანჯელეს კინგზი“) — 950 ათასს; ს. აიზერმანი („დეტროიტ რედ უინგზი“) და ბ. ნიკოლსი („ნიუ-იორკ რეინჯერსი“) — 700 ათას დოლარს თითოეული.

რაც შეეხება კანადაში მოთამაშე რუს ჰოკეისტებს, მათი შემოსავალი გაცილებით მოკრძალებულია: ვ. კრუტოვს და ი. ლარიონოვს წელიწადში 375 ათასი დოლარი აქვთ; ვ. ფეტისოვს — 250, ა. კასატანოვს — 200, ს. მაკაროვს — 175, ჰ. ბალდერასს — 150 ათასი. ნხლ-ის ლიგაში ყველაზე მცირე ჰონორარი აქვს რუს მეკარეს ს. მილნიკოვს — იგი წელიწადში 50 ათას დოლარს იღებს.

აღსანიშნავია, რომ არც ისე დიდი ხნის წინ საბჭოთა კავშირიდან წასული ჰოკეისტები მსოფლიო სარბიელზე საკმაოდ ფასობდნენ. ამიტომ კომერციული საქმიანობის სწორად წარმართვით მათი შემოსავალი გაცილებით მაღალი იქნებოდა.

დანტესდროინდელი ფეხბურთი

გემახსოვრებათ, იტალიის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ტელერეპორტაჟი მხოლოდ მილანის სტადიონზე გამართული საზეიმო სანახაობით შემოიფარგლა. გახსნამდე კი ფლორენციაში გაიმართა საფეხბურთო ფიესტა „ჯოკო დელ კალჩო“. ამ საფეხბურთო შერკინების ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ფეხბურთის მოედანზე ერთმანეთს ხვდება ძველებურ სამოსში გამოწყობილი ორი საქალაქო გუნდი. რამდენიმე ასეული წელია, ამ თამაშის წესები უცვლელია. ფეხბურთის თანამედროვე თაყვანისმცემლების აზრით, ეს „მთლად ფეხბურთი“ არ არის, მაგრამ ფლორენციელები სხვაგვარად ფიქრობენ: „სწორედ ჩვენი ფეხბურთია ნამდვილი და ტრადიციული. ის კი, რომელსაც დღეს მსოფლიოში თამაშობენ, მოდური თავისშექცევაა“.

ჰოკეის „ბიოგრაფია“

ჰოკეი კანადაში შეიტანეს ინგლისელებმა მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს. მაშინ მას „ბეხდის“ ეძახდნენ და ბურთით თამაშობდნენ. 1879 წელს ბურთი შაიბით შეცვალეს, სიახლე მოეწონათ. შემდეგ დაიწყეს აღჭურვილობის — ხელთათმანებისა და სხეულის დამცველი „ჯავშან“-ჟილეტის დამზადება. თამაშის ხასიათი საფუძვლიანად შეიცვალა. 1880 წელს მონრეალში, კვებეკსა და ოტავაში შეიქმნა პირველი კლუბები, პირველად გამოქვეყნდა თამაშის ოფიციალური წესები. 1893 წელს პირველად გათამაშდა კანადის ჰოკეის ყველაზე საპატიო პრიზი — სტენლის თასი. მან სახელწოდება დამწესებლის გვარისაგან მიიღო. ლორდი სტენლი მაშინ კანადის გუბერნატორი იყო. 1899 წელს მონრეალში აშენდა პირველი გადახურული სარბიელი ხელოვნური ყინულით და ათასადგილიანი ტრიბუნით.

კალეიდოსკოპი

ინფორმაცია

როტერდამი. აქ გამართულ იუნიორ მოშაშეთა მსოფლიო ჩემპიონატში ჰოლანდიის, საფრანგეთის, ბელგიის, პოლონეთის, სურინამის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნის 16 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს უძლიერესის სახელს. გაიმარჯვა ი. კოფმანმა (ისრაელი), რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულა დააგროვა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან საბჭოთა მოშაშეები ს. ნოსოვიჩი და ა. ფურმანი.

მადრიდი. ანდალუზიის გზებზე გრძელდება ექვსდღიანი ველოსიპედი. მეორე ეტაპზე იმარჯვა ბელგიელმა იოჰან მოზეუგმა, რომელმაც 164 კილომეტრიანი დისტანცია 3:45.27-ში დაფარა. ორი ეტაპისა და პროლოგის შემდეგ წინ არის ამერიკელი ენდი ბიშოფი (8:55.55). მეორე ადგილზეა ლიდერის თანამემამული რობერტო ლეზლუნი (ბიშოფთან 2 წამს აგებს), მესამეზე — ბელგიელი ერიკ ვან დერ ერდენი (სხვაობა ლიდერთან 5 წამია).

პერტი. ავსტრალიის ამ ქალაქში მიმდინარეობს მატჩი დევისის თასზე ადგილობრივ გუნდსა და ბელგიის ეროვნულ ნაკრებს შორის. ავსტრალიელები დაწინაურდნენ — 2:0 — რიჩარდ ფლომბერგმა დაამარცხა ფილიპ დევეულფი 6:4, 6:4, 1:6, 6:4, უალი მაზურმა კი ედუარდო მასო 6:3, 6:3, 6:1.

ვახტანგ დიდიძე

79 წლისა გარდაიცვალა ვახტანგ დიდიძე — საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტული მუშაობის ვეტერანი, უმაღლესი კატეგორიის მსაჯი ჩოგბურთში. 1936 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, ეს უმაღლესი სასწავლებელი იმ ხანებში ქართული სპორტის ერთ-ერთი ალამდარი იყო. პროფესიით ინჟინერი, ხაბოლოოდ მაინც სპორტს დაუკავშირდა, ხელმძღვანელობდა ჩოგბურთის სკოლას, 1950 წელს კი თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექტორად დანიშნა. ორი წლის შემდეგ „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში გადაიყვანეს თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც 27 წელიწადი იმუშავა, იყო ამ სპორტსაზოგადოების საპატიო წევრი. პენსიაზე გასვლის დღიდან გარდაცვალებამდე კონცერნ „სოფლმშენში“ მუშაობდა სამეურნეო საქმართველოს მთავარ ინჟინრად.

ვ. დიდიძეს აფასებდა და უაღრესად დიდ პატივს სცემდა რესპუბლიკის სპორტული საზოგადოება. ამ ამაგდარი, ვალმოხდილი ადამიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულებში, ვინც ამ შესანიშნავ პიროვნებას ახლოს იცნობდა.

საქართველოს სპორტსახკომი, საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

ჩოგბურთი

ბარდანი. (საფრანგეთი). ტრადიციული ვარსკვლავისებური ველორბოლის პროლოგი მოიგო ბელგიელმა ედვიგ ვან ჰოიდონკმა. 118 კილომეტრი ამ ქალაქის ჭუჩეგში მან 3 საათსა და 05 წუთში დაფარა (საშუალო სიჩქარე საათში 38,188 კილომეტრი). მეორე და მესამე ადგილები იმავე დროით გამარჯვებულის თანამემამულეებმა პიერ დევაილიმ და გერმან ფრისონმა გაიყვეს.

კოპენჰაგენი. პროფესიონალ ველოსიპედისტთა ექვსდღიან რბოლაში წყვილთა შორის დიდი უპირატესობით ლიდერობს დანიელი იენს ვეგერბისა და ავსტრალიელ დენი კლარკის ინტერნაციონალური წყვილი, რომელსაც 414 ქულა აქვს და 100-ზე მეტი ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს.

საუკუნის მატჩის მოლოდინში

მსოფლიოს დღევანდელი ჩემპიონი კრიეში, სუპერმძიმეწონის პროფესიონალი ევანდერ ჰოლიფილდი შვიდი წლის წინ არც ტექნიკით გამოირჩეოდა მაინც და მაინც და არც დარტყმის სიძლიერით, მაგრამ ამერიკის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა იგი მაინც შეიყვანა გუნდში, ვინაიდან ახალგაზრდა იყო და რაღაც იმედებს იძლეოდა.

ჰოლიფილდმა საკმაოდ კარგად ჩაატარა საკონტროლო მატჩების სერია და გულმოდგინე ვარჯიშის შემდეგ ოლიმპიურ ნაკრებში პირველ ნომრად დაიმკვიდრა ადგილი.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა (1984 წელი) მისი პირველი და ალბათ ყველაზე მთავარი სტარტი იყო, როგორც მოყვარული მოკრივისა. მაგრამ ოლიმპიური შეჯიბრება მან ვერ მოიგო. ვერ გავიდა იგი ფინალშიც. მთავარი შეხვედრისკენ გზა მას მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა იუგოსლავიელმა ანტონ იოსიპოვიჩმა გადაუღობა. მეორე ადგილი ლოს-ანჯელესში მაშინ ახალზელანდიელ კევინ ბარის ხვდა. ჰოლიფილდი გრძნობდა, რომ ბარიზე ძლიერი იყო და რომ ნახევარფინალში ახალზელანდიელს უსათუოდ აჯობებდა, მაგრამ კენჭისყრამ სხვაგვარად ინება და ბარის ალჟირელი მუსტაფა მუსა შეახვედრა.

ერთი სიტყვით, 81 კგ წონით კატეგორიაში (ჰოლიფილდი კი შვიდი წლის წინ სწორედ ამდენს იწონიდა) სპრიზო ადგილები განაწილდა ასეთი თანმიმდევრობით: 1. ანტონ იოსიპოვიჩი, 2. კევინ ბარი, 3. ევანდერ ჰოლიფილდი და მუსტაფა მუსა.

...ლოს-ანჯელესის ოლიმპიადამდე 16 წლით ადრე მძიმე წონ[illegible] ჩემპიონი გახდა ამერიკელი ჯ[illegible] ფორმენი. ეს მოხდა მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებზე 1968 წელს. ფორმენმა ფინალში ნოკაუტ[illegible]ობა საბჭოთა ჩემპიონს ი. ჩე[illegible]ისს, ნახევარფინალში კი [illegible] „ნაადრევად“ დაამთავრა ბ[illegible] იტალიელ ჯ. ბამბინისთ[illegible].

როგორც ზედავთ, ფორმენმ[illegible]ეთ დაასრულა მოყვარული მ[illegible]ის კარიერა, ვიდრე ჰოლიფილდ[illegible]. მაგრამ ამას ისეთი გა[illegible] მნიშვნელობა არა აქვს, როცა სპორტსმენი პროფესიონალ[illegible]ებს. არა აქვს იმიტომ, [illegible] ფესიონალი, ფაქტობრივად, კრივის ანბანს ხელახლა ეუფლება და თავისი კარიერის ათვლას აქედან იწყებს.

რისთვის დაგვჭირდა ამ პარალელის გავლება? მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველს შევახსენოთ: პროფესიული კრივის სამი მსოფლიო ასოციაცია შეთანხმდა იმაში, რომ დღევანდელი ჩემპიონი მძიმე წონაში ევანდერ ჰოლიფილდი თავის ტიტულს დაიცავს 19 აპრილს სწორედ ჯორჯ ფორმენთან, ყოფილ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრაში, რომ ამ მატჩში გამარჯვებულ[illegible] სარეკორდოდ დიდ პრემიას — 20 მილიონ დოლარს მიიღებს დ[illegible] რომ 40 წელს გადაცილებულ ფორმენს დღეს ისეთსავე სრულუფლებიან პრეტენდენტად მიიჩნევენ, როგორც საუკეთესო სპორტულ ფორმაში მყოფ ახალგაზრდა ევანდერ ჰოლიფილდს. ერთი სიტყვით. ორ თვეში კრივის სამყარო ახალ საუკუნის მატჩს იხილავს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის აბიტურიენტთა საჭურ[illegible]

ინსტიტუტის მიმღები კომისია აუწყებს მომავალ აბიტურიენტებს, რომ მისაღები გამოცდების სპორტულ პროგრამაში შეტანილია ცვლილებები:

1. ნორმატივები ცურვაში დაყვანილია ერთ ნორმატივამდე — 25 მ. დროის აღრიცხვის გარეშე (დღის და დაუსწრებელი სწავლებ).

ყველა აბიტურიენტი ვალდებულია აღნიშნული ნორმატივი ჩააბაროს პირველ რიგში და მიიღოს ჩათვლა დიფერენციული შეფასების გარეშე, დადებითი შეფასების შემთხვევაში („ჩათვლა“) აბიტურიენტი აგრძელებს გამოცდებს შემდეგ საგნებში. აბიტურიენტი, რომელიც ვერ მიიღებს ჩათვლას („არ ჩაეთვალა“), შემდგომ გამოცდაზე არ დაიშვება.

2. ნორმატივები ფიზმომზადებაში და სპორტის არჩეულ სახეობაში უცვლელი რჩება (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, ჭადრაკი, კრივი, ძალოსნობა.

3. ზოგიერთი ნორმატივი შეიცვალა ჭიდაობებში, [illegible] ფარიკაობაში ტ[illegible] მშვილდოსნობაში, [illegible] ველოსპორტში, სათხ[illegible]ტში, კლდ[illegible] ცოცვ[illegible]ნობაში.

დაინტერესებულ აბიტურიენტებს დაწვრილებითი ცნობ[illegible] ის [illegible]ბად შეუძლიათ შემა[illegible] კომისიას ან სათანადო [illegible].

4. დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის ნორმატივები ფიზმომზადებაში უცვლელი რჩება.

მიმღები კომისია

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს სპორტსახკომი და საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე

ვახტანგ ერმოლის ძე დიდიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ნვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ვ. კოტაკვას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, ვ. კოტაკვას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20